



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის
შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბნის N2 საბავშვო ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა ქაშიბაძე

ხარისხის ექსპერტი: ნანა ქაშიბაძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: თინათინ თოიძე

კვების დარგში ექსპერტი: რუსუდან აჩელაშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ლალი აღადაშვილი



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება
საიდენტიფიკაციო ნომერი	233146798
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბნის N2 საბავშვო ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ქ. ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. N23.
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი კართუბანი.



დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)		
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐	
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ		
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება 524248 . 15.05 2025წ	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2-3 ივნისი 2025წ.	
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ		
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.		



N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.	ქართული		50
					ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☒ (განმარტება იხილეთ 4.3 ჩეკლისტის მე-3 ნაწილში ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია) ჯგუფი ეთანხმება დაწესებულებაში 30 ბავშვის ჩარიცხვის რაოდენობას.

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2025 წლის 2-3 ივნისს, სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ქ.ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბნის მე-2 საბავშვო ბაღში. დაწესებულება გამოირჩეოდა ინფორმაციის ღიაობითა და გამჭვირვალობით. ადმინისტრაცია და პერსონალი ექსპერტთა ჯგუფს დეტალურად გვაცნობდა მუშაობის პროცესებსა და პრაქტიკას, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ გასაუბრებებში.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² <i>(პროგრამის სახე -სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა . კურიკულუმის დასახელება - “ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“; სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“</i>		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმარება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტის 1.1-ის მოთხოვნებს.

დაწესებულების მისია ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს მის როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს.

მისია: „ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მისიაა შევექმნათ უსაფრთხო და განმავითარებელი გარემო, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას და მათი პოტენციალის სრულ გამოვლენას. ჩვენი ბაღის მისიაა შევექმნათ თბილი და მეგობრული გარემო, სადაც ბაღის პერსონალი და ოჯახის წევრები მჭიდრო თანამშრომლობით შეუწყობენ ხელს თითოეული ბავშვის უნარისა და შესაძლებლობის სრულ რეალიზებას. ჩვენ გვჯერა, რომ თითოეულ ბავშვს აქვს განსაკუთრებული ნიჭი და უნარი, რომლის აღმოჩენა სასარგებლო იქნება როგორც ჩვენი თემისთვის, ისე მთლიანად საზოგადოებისთვის.“ დოკუმენტი წარმოდგენილია დანართით №1 – „მისია, ხედვა და ღირებულებები“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

..

რჩევა

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

..

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით, მისია განსაზღვრავს დაწესებულების ფუნდამენტურ მიზანსა და არსებობის მიზეზს, ხოლო ხედვა აღწერს, თუ როგორ გამოიყურება დაწესებულება მომავალში ამ მისიის შესრულების შემდეგ. (იხ. დაწესებულების *ხედვა და ღირებულებები*) დანართი N1 მისია, ხედვა და ღირებულებები

ხედვა :

- ბავშვის უსაფრთხოებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნით და სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფით გავლენით ცნობისმოყვარეობა და შემეცნებისადმი სიყვარული, მხარი დავუჭიროთ აღსაზრდელის ემოციური, სოციალური, კოგნიტური და პიროვნული განვითარების ინდივიდუალურ, თავგადასავლებით აღსავსე გზას. მყარი საფუძველი შევუქმნათ პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბებას.

ღირებულებები:

- ბუნების შემეცნებაზე დამყარებული პიროვნული და ინტელექტუალური განვითარება
- ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემო და სათამაშოები
- სოციალურ და ემოციურ განვითარებაზე მიმართული კურიკულუმი
- პასუხისმგებლიანი და ფუნქციური მოქალაქის აღზრდა
- ფიზიკურად ჯანმრთელი თაობის აღზრდა



- სწავლა თამაშითა და აღმოჩენებით
- საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერება და საბავშვო ბაღის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ზრდა
- თანამშრომელთა კვალიფიციურობა, გუნდურობა და აღსაზრდელზე ორიენტირებულობა.)

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები ლოგიკურად გამომდინარეობს მისიიდან, რადგან იგი აკონკრეტებს იმ მიზნებსა და მიმართულებებს, რომელთა მიღწევაც დაწესებულებას სურს საკუთარი მისიის ფარგლებში. ტექსტი ასევე აჩვენებს, რომ ღირებულებები (ბუნების შემეცნება, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემო, სოციალურ-ემოციური განვითარება, მშობელთა ჩართულობა) პირდაპირ უწყობს ხელს მისიის განხორციელებასა და მიზნების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2023 წლის 12 ივლისის ბრძანება (ბ42.9223193001), რომელიც ადასტურებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების ოფიციალურად დამტკიცებას ა(ა)იპ-ის დირექტორის მიერ. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით; პროცესში მონაწილეობდნენ პედაგოგიური პერსონალი, ადმინისტრაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია :



რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებისას მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი შემოსასვლელში, გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. გაზიარების, ასევე საჯაროობის უზრუნველყოფის გზები დაწესებულებას აქვს ასევე გაწერილი დანართი N2 სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში - მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი, სადაც მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისათვის, გარდა ამ წესით მე-6 მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხებისა, გამოიყენება შემდეგი გაზიარების მექანიზმები: ა) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბეჭდურ მასალებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაწესებულების სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტებში;

ბ) მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდება ბადის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე;

გ) მისია, ხედვა და ღირებულებები გაჟღერებული იქნება გაერთიანებაში/ბალებში დაგეგმილ შეხვედრებზე, სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის პრეზენტაციაზე და სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება გაერთიანების/ბადის მიერ. არსებული მტკიცებულების მიხედვით ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

.....

.....

..

რჩევა

.....

.....

..

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

..



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი - დანართი N1, ბაღის შემოსასვლელში გადაღებული ფოტო
2. ვიზუალური დათვალიერება
3. ინტერვიუს შედეგები საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან
4. დანართი N2 სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ა.(ა).ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“-ს აქვს 2025 წლის 10 აპრილს ბრძანებით დამტკიცებული „ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ ბრძანების ნომერი ბ42. 922510000 თარიღი:10/04/2025,ამავე ბრძანების დოკუმენტი- დანართი N2 სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და მასში არ არის აღნიშნული გაერთიანების ღირებულების შემსრულებელი , როგორც პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი , არაა გადატანილი დაწესებულების დასახელება,ამავე ბრძანების მე 7 მუხლში(მუხლი - სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ) მოცემულია პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი,მაგრამ არ არის გამოყოფილი კონკრეტული პირები,ვინც შევა სამუშაო ჯგუფში .



დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს აქტივობები :

1. ჯგუფის შექმნა (დატკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით);
2. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო შეხვედრების/პროცესის წარმართვა;
3. არსებული მდგომარეობის შეფასება, შიდა და გარე წყაროების შესწავლა;
4. ბადის ძლიერი და სუსტი მხარეების, საფრთხეებისა და შესაძლებლობების გაანალიზება;
5. ჩატარებული ანალიზის შედეგად სტრატეგიული გეგმის პროექტის შემუშავება, სტრატეგიული მიზნებისა და მიზნების შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა.

ინდიკატორი 1 ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია; აღნიშნული შესაბამისობის გეგმის საფუძველზე

რეკომენდაცია

1. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ დოკუმენტის გადახედვა და შინაარსობრივი დაზუსტება, რათა იგი არ დარჩეს მხოლოდ ფორმალური ხასიათის. დოკუმენტში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული:
 - პასუხისმგებელი პირების ვინაობა (სახელი, გვარი, თანამდებობა);
 - დაწესებულების დასახელება;
 - პროცესის მონაწილეთა როლი და ჩართულობის ფორმა.
2. სამუშაო ჯგუფის ფორმირება უნდა განხორციელდეს დამტკიცებული წესის შესაბამისად,
3. სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება უნდა დაფუძნდეს შეფასებაზე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე და პროცესის დოკუმენტირებულ მტკიცებულებებზე (შეხვედრების ოქმები, ანალიზის ანგარიშები, სამუშაო ვერსიები და ა.შ.).
4. შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ქმედებები ვადაში უნდა განხორციელდეს, რის შემდგომაც მოხდეს გეგმის ოფიციალურად დამტკიცება უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ გააჩნია სტრატეგიული განვითარების არანაკლებ ხუთწლიანი გეგმა და ერთი წლის ვადით განისაზღვრული სამოქმედო გეგმა. თუმცა დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება და სტრატეგიული გეგმის შემუშავება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

ინდიკატორი 2 ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია სტრატეგიული განვითარების არანაკლებ ხუთწლიანი და მასთან თანხვედრაში მყოფი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც ეფუძნება დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების ანალიზს. , გეგმა უნდა შემუშავდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით შემუშავებული ერთი წლის ვადით განისაზღვრული სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს 3 თვის ვადაში 01.05.2025-01.08.2025



1. სამოქმედო გეგმის შედგენისთვის დაინტერესებული მხარეების შემადგენლობით სამუშაო ჯგუფის შექმნა (დატკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით); 2. სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო შეხვედრების/პროცესის წარმართვა; 3. სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება; 4. სამოქმედო გეგმის პროექტის გაზიარება დაინტერესებული მხარეებისათვის;

ინდიკატორი 3-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რეკომენდებულია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით, რომელიც ეყრდნობა დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს. გეგმა უნდა მოიცავდეს კონკრეტულ მიზნებს, ამოცანებს, მოქმედებების დეტალურ აღწერას, პასუხისმგებელ პირებს, ვადებსა და შეფასების კრიტერიუმებს. მისი შემუშავების პროცესში უნდა ჩაერთონ დაინტერესებული მხარეები, გეგმა უნდა დამტკიცდეს უფლებამოსილი პირის მიერ და თან ახლდეს პროცესის დამადასტურებელი მტკიცებულებები – შეხვედრების ჩანაწერები, პროექტის სამუშაო ვერსიები და მისი გაზიარების ფორმები.

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....
.....
.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ გააჩნია დამტკიცებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, რესურსები და ვადები.

თუმცა, წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში გაწერილია სამოქმედო გეგმის შემუშავების ქმედებები სამთვიანი ვადით (01.05.2025 – 01.08.2025), რაც მიუთითებს საკითხის გამოსწორებისკენ მიმართულ ნაბიჯებზე. ინდიკატორი 4-ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რეკომენდებულია სამოქმედო გეგმის შემუშავება, შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით, რომელიც სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად განსაზღვრავს კონკრეტულ აქტივობებს, მათი შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, პასუხისმგებელ პირებს ან სტრუქტურულ ერთეულებს, ვადებს და საჭირო რესურსებს.

რჩევა



.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს ბრძანებით დამტკიცებული (ბრძანება:ბ42. 9225100001 თარიღი:10/04/2025)

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი.

ასევე , შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილი აქვს 1.2 კომპონენტის- სტრატეგიული განვითარება მეთოდოლოგიის წესის მიხედვით დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება იხილეთ (მუხლი 13. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება) - აღნიშნულია ,რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება

გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5 წელს) და ბოლოს. დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად. ჯერჯერობით დაწესებულებას არ უწევდა მონიტორინგის განხორციელება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.შესაბამისობის გეგმის მიხედვით ინდიკატორი 5 ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების ამუშავება და პრაქტიკაში დანერგვა შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ ვადებში.

რჩევა

.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....



6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არ გააჩნია დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. მიუხედავად ამისა, დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში და შესაბამისობის გეგმაში განსაზღვრული აქვს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შედეგების საჯარო ხელმისაწვდომობასა და შემდგომში დაწესებულების განვითარებას.

ინდიკატორი 6 ის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების შემდეგ, მათი შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომად იქნეს წარმოდგენილი, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია - სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დამტკიცებული ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (დროებით მოვალეობის შემსრულებელი) 2025 წლის, 10 აპრილის № ბ42.9225100001 ბრძანებით
2. შესაბამისობის გეგმა - სოფელ კართუბნის N 2 საბავშვო ბაღი
3. ინტერვიუს შედეგები

შეფასება:			
1.2 სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐



2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა.

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ა(ა)პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. ბრძანებით N 842. 92251009 10/04/2025წ დამტკიცებულია ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2 დან 5 წ. და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის და 5 დან 6 წ. ასაკობრივი ჯგუფებისთვის სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში აქტივობათა კრებული 1 და 2 ნაწილი.

ა(ა)პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდისა დაწესებულებათა გაერთიანებ“-ის დირექტორის მ.შ. ბრძანებით N 842.92251002 10/04/2025წ დამტკიცებულია კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, რომლის მიხედვით (მუხლი 2) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი იქმნება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით, აღნიშნული ჯგუფის შექმნა არ დასტურდება არც დოკუმენტით, არც გასაუბრებით. გაერთიანების მეთოდისტმა აღნიშნა, რომ კურიკულუმი მის მიერ იქნა შერჩეული .2-5წ. ასაკობრივი ჯგუფებისთვის - ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ ხოლო 5-6 წ ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის პროგრამა თამაშის აქტივობათა კრებული 1 და 2 ნაწილი. გაერთიანების მიერ შერჩეული სასკოლო მზაობის პროგრამა არის მხოლოდ აქტივობათა კრებული და არა მეთოდური სახელმძღვანელო. საბავშვო ბაგა-ბაღშიც არ აღმოჩნდა სახელმძღვანელოს მეთოდური ნაწილი. ამრიგად, სასკოლო მზაობის პროგრამა რადგან მეთოდური ნაწილის გარეშეა ვერ ჩაითვლება სასკოლო მზაობის პროგრამად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.1,1 ის ინდიკატორი 1 არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

³ მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.



ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას“ მიეცეს რეკომენდაცია: ა(ა)პ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდისა დაწესებულებათა გაერთიანება“-ის დირექტორის მ.შ. ბრძანებით N 42.92251002 10/04/2025წ. დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესაბამისად შეიქმნას კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, გაიწეროს დოკუმენტაცია. სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დამტკიცდეს პროგრამა სრულყოფილი სახით-სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ (მეთოდური სახელმძღვანელო და აქტივობათა კრებული 1 და 2 ნაწილი).

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია, რომ გაერთიანება 2 თვის ვადაში უზრუნველყოფს კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნას და ასევე 2 თვის ვადაში მოხდება სასკოლო მზაობის პროგრამის სრულყოფილი სახით დამტკიცება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. ბრძანებით N 42. 92251009 10/04/2025წ დამტკიცებული კურიკულუმი 2-დან 5წ. ასაკის და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის „თამაში“, ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას. სასკოლო მზაობის პროგრამა კი დამტკიცებულია მეთოდური ნაწილის გარეშე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.1.1 -ის ინდიკატორი 2 არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას“ მიეცეს რეკომენდაცია სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დაამტკიცოს პროგრამა სრულყოფილი სახით.-სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ (მეთოდური სახელმძღვანელო და აქტივობათა კრებული 1 და 2 ნაწილი).



.....
რჩევა

.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია ,რომ გაერთიანება 2 თვის ვადაში უზრუნველყოფს სასკოლო მზაობის პროგრამის სრულყოფილი სახით დამტკიცებას.ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. ბრძანებით N ბ42. 92251009 10/04/2025წ დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში,ხოლო სასკოლო მზაობის პროგრამა დამტკიცებულია მეთოდური ნაწილის გარეშე.ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2,1,1-ის ინდიკატორი 3 არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას“ მიეცეს რეკომენდაცია სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დაამტკიცოს პროგრამა სრულყოფილი სახით.-სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“(მეთოდური სახელმძღვანელო და აქტივობათა კრებული 1 და 2 ნაწილი).

.....
რჩევა

.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია ,რომ გაერთიანება 2 თვის ვადაში უზრუნველყოფს სასკოლო მზაობის პროგრამის სრულყოფილი სახით დამტკიცებას.ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. ბრძანებით N ბ42. 92251009 10/04/2025წ დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას.5-6 წ ასაკის ასაკის ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის პროგრამა კი მეთოდური ნაწილის გარეშეა დამტკიცებული.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი2.1.1.-ის ინდიკატორი 4 არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას“ მიეცეს რეკომენდაცია სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დაამტკიცოს პროგრამა სრულყოფილი სახით.-სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“(მეთოდური სახელმძღვანელო და აქტივობათა კრებული 1 და 2 ნაწილი).

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია ,რომ გაერთიანება 2 თვის ვადაში უზრუნველყოფს სასკოლო მზაობის პროგრამის სრულყოფილი სახით დამტკიცებას.ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. ბრძანებით N ბ42. 92251009 10/04/2025წ დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი„თამაში“ითვალისწინებს მრავალფეროვან,ასაკისა და განვითარების შესაბამის



საქმიანობებს.5-6 წ ასაკის ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის პროგრამა კი მეთოდური ნაწილის გარეშე დამტკიცებული ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.1.1-ის ინდიკატორი 5 არ არის შესაბამისობაში.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას“ მიეცეს რეკომენდაცია სასკოლო ასაკის ბავშვებისთვის დაამტკიცოს პროგრამა სრულყოფილი სახით.-სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“(მეთოდური სახელმძღვანელო და აქტივობათა კრებული 1 და 2 ნაწილი).

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია ,რომ გაერთიანება 2 თვის ვადაში უზრუნველყოფს სასკოლო მზაობის პროგრამის სრულყოფილი სახით დამტკიცებას.ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ 10/04/2025წ.N ბ 42.92251002 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის,გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის მუხლი N 3-ის მიხედვით კურიკულუმი ზიარდება მშობლებთან,დაწესებულების პერსონალთან,მუნიციპალიტეტის,თემის წარმომადგენლებთან.ინტერვიუს დროს გაერთიანების მეთოდისტმა განაცხადა,რომ კურიკულუმი გაზიარდება ყველა ზემოთ აღნიშნულ პირებთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2,1.1-ის ინდიკატორი 6 დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. 10/04/2025წ. N ბ 42.92251002 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.

2. ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. 10/04/2025წ N ბ 42. 92251009 ბრძანება კურიკულუმის დამტკიცების შესახებ.

3. ინტერვიუს შედეგები საგანმანათლებლო პერსონალთან.

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ..ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სკოლამდელიაღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მ.შ. ბრძანებით 10/04/2025წ Nბ 4292251003 დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.“ აღნიშნული წესის მუხლი 3.2 -ის მიხედვით გეგმა არის მოკლევადიანი(ყოველდღიური/ყოველკვირეული),რომელსაც ამტკიცებს გაერთიანების ხელმძღვანელი ბრძანებითა ღნიშნული ბრძანება კურიკულუმის შესაბამისი გეგმის ფორმის დამტკიცების შესახებ არ არის.არც გასაუბრების შდეგად (მეთოდისტი,აღმზრდელები) დასტურდება გეგმის ნიმუშის არსებობა. ასევე არ არის ინფორმაცია გრძელვადიანი გეგმის შესახებ.ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე .კრიტერიუმი 2.2.1.-ის ინდიკატორი 1 არ არის დაკმაყოფილებული.



რეკომენდაცია

ა(ა)იპ..ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას. მიეცეს რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის შესაბამისად შეიმუშაოს და ბრძანებით დაამტკიცოს შერჩეული კურიკულუმის შესაბამისი გეგმის ფორმა. არა მხოლოდ მოკლევადიანის, არამედ გრძელვადიანისა.

.....
.....
.....

რჩევა

.....
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია, რომ გაერთიანება 2 თვის ვადაში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად შეიმუშავენ და ბრძანებით დაამტკიცებენ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისი გეგმის ფორმას არა მხოლოდ მოკლევადიანის, არამედ გრძელვადიანისა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესითა და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ..ლაგოდების მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. ბრძანებით 10/04/2025წ Nბ 4292251003 დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მუხლი N 3.-ის მიხედვით მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან, შემუშავების პროცესს კი მეთვალყურეობს მეთოდისტი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.2.1-ის ინდიკატორი 2 დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. ბრძანებით 10/04/2025წ Nბ 4292251003 დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის N 3.2 მუხლის შესაბამისად მოკლევადიანი გეგმის ფორმაში უნდა აისახოს ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.2.1 -ის ინდიკატორი 3 დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორის მ.შ. ბრძანებით 10/04/2025წ Nბ 4292251003 დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის..მუხლი N4 -ის მიხედვით ინდივიდუალიზაცია ვლინდება მოკლევადიან გეგმაში ინდივიდუალიზაციის ასპექტის შეტანით, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.2.1-ის ინდიკატორი 4 დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა.



.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ..ლაგოდების მუნიციპალიტეტის,, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების” დირექტორის მ.შ. ბრძანებით 10/04/2025წ № 4292251003 დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.აღნიშნული წესის მუხლი N3.2 -ის მიხედვითი მოკლევადიან გეგმაში უნდა აისახოს თამაშზე ორიენტირებული პროცესი .ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.2.1 -ის ინდიკატორი 5 დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....
.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ..ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მ.შ. ბრძანებით10.04 2025წ № 4292251003.ადამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი აღნიშნული წესის მუხლი N3-ის მიხედვით საგანმანათლებლო პერსონალის გეგმა უნდა მოიცავდეს ბავშვის სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირებას, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად ეზოსა და შენობაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.2.1-ის ინდიკატორი 6 დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია ა(ა)იპ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას მიეცეს რჩევა: არსებულ დღის განრიგს დაემატოს ეზოში თამაში. ძილის კომპონენტი არ იყოს სავალდებულო სასკოლო ასაკის ჯგუფის ბავშვებისთვის, რათა მეტი დრო ჰქონდეთ სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩასართველად, რაც მათ განვითარებას შეუწყობს ხელს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მ.შ. ბრძანებით 10/04/2025წ Nბ 4292251003 დამტკიცებულია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.“ აღნიშნული წესის მიხედვით მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის შემენა განხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით, ასევე ბავშვების ინტერესებისა და კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებებისთვის დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი. ზემოთ ხსენებულ წესში ასევე გაწერილია რესურსების მოძიების ალტერნატიული გზები: მოგროვება, დამზადება, დონაცია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.2.2-ის ინდიკატორი 1 დაკმაყოფილებულია..

რეკომენდაცია

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ..ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის მ.შ. ბრძანებით 10/04/2025წ № 4292251003 დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი. აღნიშნული წესის მუხლი N5.6-ის მიხედვით მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებას თვითშეფასებაში განსაზღვრული აქვს ბაგა-ბაღში ჩასარიცხ ბავშვთა ზღვრული რაოდენობა 50 ადგილით, სააღმზრდელო ჯგუფების ვიზუალური დათვალიერებით არ აღმოჩნდა 50 ბავშვისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი. ასევე ზემოთხსენებული წესის მიხედვით არ არსებობს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.2.2-ის ინდიკატორი 2 არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას მიეცეს რეკომენდაცია „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად შეიმუშაოს და დაამტკიცოს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად, ასევე რეკომენდირებულია საბავშვო ბაგა-ბაღში ჩასარიცხი ბავშვების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს არა 50, არამედ 30 ბავშვის ადგილით.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ გაერთიანება 2 თვის ვადაში: „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ შესაბამისად ბრძანებით დაამტკიცებს კურიკულუმის შესაბამისი მინიმალური



საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას, ჩასარიცხ ბავშვთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისად. ყოველივეს გათვალისწინებით ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

.....

.....

.....

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბანის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის ჯგუფური ოთახები გამიჯნული არ არის კურიკულუმის შესაბამისად სივრცეებად. ბავშვებისთვის მინიშნებები ბავშვის სიმაღლის შესაბამისი არ არის. კედლები უმეტესად დატვირთულია არაფუნქციური და გამოყენებელი მასალით, ზოგიერთი ავეჯი ბავშვის სიმაღლის შესაბამისი არ არის. ყველა მასალა ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფში არ არის სივრცე განმარტოვებისთვის. არის ისეთი სივრცეები, რომელიც შერჩეული კურიკულუმის შესაბამისი არ არის (მაგალითად, დედაენის, მათემატიკის, ემოციების, სამედიცინო სივრცეები). კედლებზე განთავსებული ბავშვის ნამუშევრები მათი სიმაღლის შესაბამისი არ არის. ეზოში არის საქანელა, სასრილო, საქვიშე აიწონა-დაიწონა, ფანჩატური, სკამები, ბოსტანი. ეზო არ არის კურიკულუმის შესაბამისად მოწყობილი. არ არის დაყოფილი ცენტრებად არ არის სივრცე დრამატული თამაშებისთვის, ასაცოც, სახლი განმარტოვებისთვის. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით კრიტერიუმი 2.2.3-ის ინდიკატორი 1 არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბანის N2 საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რეკომენდაცია: ჯგუფური ოთახები და გარე სივრცე მოეწყოს შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: ოთახები დაიყოს სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად: დილისა და საღამოს შეხვედრების, კონსტრუქციული, ხელოვნების, დრამატული, წიგნიერების, წყნარი სივრცე, მეცნიერების, სამაგიდო, სენსორული. სივრცეებზე განთავსდეს ვიზუალური მინიშნებები ბავშვის სიმაღლის შესაბამისად. კედლებზე განთავსებული მასალა იყოს ფუნქციური და გამოყენებადი (დილის განრიგი, ჯგუფის წესები, კუთხე ბავშვების ნამუშევრებისთვის). ჯგუფის ავეჯი ბავშვის სიმაღლის შესაბამისი, მასალა კი ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ეზო დაიყოს სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად. სივრცე დრამატული თამაშებისთვის. (სახელოსნო, სამზარეულო), ბოსტანი, საძრომიალო შიდა და გარე სივრცეები დაიტვირთოს ბავშვებისთვის ვიზუალური მინიშნებებით.

.....

.....

.....

რჩევა



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ლაგოდების მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ გაერთიანება 5 თვის ვადაში ბიუჯეტის დამტკიცებისას მოახდენს შესაბამისი საჭიროებებისთვის თანხის განსაზღვრას, რესურსის შეძენას დაწესებულებაზე გადაცემას და ჯგუფური ოთახები და გარე სივრცე მოეწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: ოთახები დაიყოფა სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად: დილისა და საღამოს შეხვედრების, კონსტრუქციული, ხელოვნების, დრამატული, წიგნიერების, წყნარი სივრცე, მეცნიერების, სამაგიდო, სენსორული. სივრცეებზე განთავსდება ვიზუალური მინიშნებები ბავშვის სიმაღლის შესაბამისად. კედლებზე განთავსდება ფუნქციური და გამოყენებადი მასალა. ჯგუფში განთავსდება ბავშვის სიმაღლის შესაბამისი ავეჯი. უზომი მოეწყობა სივრცეები დრამატული თამაშებისთვის, სახელოსნო, სამზარეულო, ბოსტანი, საძრომიალო შიდა და გარე სივრცეები და გაკეთდება ვიზუალური მინიშნებები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბნის N2 საბავშვო ბაგა-ბაღში არის რესურსების სიმცირე. ჯგუფში არის მცირე რაოდენობით მეორადი, ბუნებრივი, ხელნაკეთი, ქარხნული რესურსი. აღნიშნული რესურსი მოთავსებულია კონტეინერებში, მაგრამ არ აქვს მინიშნებები მათი ორგანიზება კურიკულუმის შესაბამისი არ არის ზოგიერთ სივრცეში არსებული რესურსი ხელმისაწვდომი არ არის ბავშვებისთვის, რადგან მათ სიმაღლეზე არ არის განთავსებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმი 2.2.3.-ის ინდიკატორი 2 . არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ლაგოდების მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბნის N2 საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რეკომენდაცია : რესურსების ორგანიზება და განაწილება მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვებში მრავალმხრივი განვითარების, დამოუკიდებლობისა და თავდაჯერებლობის ხელშესაწყობად, ამიტომ აუცილებელია

რესურსების ორგანიზება მოახდეს შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად: ჯგუფები უზრუნველყოფილი იყოს მდიდარი და მრავალფეროვანი რესურსით: ბუნებრივი, ქარხნული, მეორადი და ხელნაკეთი. არსებული რესურსები მოთავსდეს ცენტრების შესაბამისად, კონტეინერებში ვიზუალური მინიშნებებით, ბავშვის სიმაღლის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ,რომ გაერთიანება 5 თვის ვადაში მოახდენს რესურსების სტანდარტის შესაბამისად გამრავალფეროვნებას,შესაბამისი კონტენერების მარკირებას და ცენტრებში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებას. .ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვების ჰოლისტური განვითარებისთვის მათ მრავალფეროვან თამაშებში ჩართვის საშუალება უნდა ჰქონდეთ. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები მყუდროდ გრძნობდნენ თავს, შეეძლოთ დასვენება და განმარტოება,აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობა..

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბანის N 2 საბავშვო ბაგა-ბაღში ჯგუფური ოთახების მოწყობა არ აძლევთ ბავშვებს იმის საშუალებას,რომ მონაწილეობა მიიღონ აქტიურ და პასიურ, დიდ და მცირე ჯგუფურ აქტივობებში,რადგან სივრცე არ არის ცენტრებად დაყოფილი შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად.ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კრიტერიუმ2.2.3.-ის ინდიკატორი 3 დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კართუბანისN 2 საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რეკომენდაცია ჯგუფური ოთახები მოაწყონ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად ცენტრებად.

რჩევა

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ 2025წ 17 სექტემბერს წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც გაწერილია ,რომ გაერთიანება 5 თვის ვადაში ბიუჯეტის დამტკიცებისას მოახდენს შესაბამისი საჭიროებებისთვის თანხის განსაზღვრას, რესურსის შეძენას დაწესებულებაზე გადაცემას და ჯგუფური ოთახები და გარე სივრცე მოეწყობა შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

